

ამოცანა 1

მარაგის აღრიცხვა

I. საწარმო ყიდულობს და ყიდის ორი სახის საქონელს, რომელთა შესახებ 31 დეკემბრისათვის არსებობს შემდეგი ინფორმაცია (ლარი):

ხარჯები ერთეულზე	M	N
შესყიდვის ღირებულება	70	80
ტრანსპორტირების ხარჯები	10	15
საბაჟო გადასახადი	4	5
გასაყიდი ფასი	90	150
გაყიდვის ხარჯები	12	16

მარაგის რაოდენობა	M	N
ცალი	200	165

მოგეთხოვებათ:

გაიანგარიშოთ ბალანსში ასახავი მარაგის სიდიდე.

(3 ქულა)

II. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოში საქონელთან დაკავშირებით განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

თვე	ოპერაცია	ცალი	ერთულის ფასი (ლარი)
იანვარი	შემენა	10	220
მარტი	შემენა	15	200
ივნისი	შემენა	8	230
დეკემბერი	შემენა	12	200
დეკემბერი	გაყიდვა	27	350

მოგეთხოვებათ:

წარადგინოთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ფიფო და საშუალო შეწონილი მეთოდით გაანგარიშებული მარაგის მიხედვით.

(7 ქულა)

(სულ: 10 ქულა)

ამოცანა 2

მარაგის და დებიტორული დავალიანების აღრიცხვა

2017 წლის 31 დეკემბერისათვის მოცემულია საწარმოს ბალანსიდან ამონარიდი (ლარი):

მარაგი	43,000
დებიტორული დავალიანება	58,500
დებიტორული დავალიანების ანარიცხები	2,340

2018 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

	ოპერაცია	ლარი
1	მარაგის შესყიდვა: ნაღდი ანგარიშსწორებით შემდგომი გადახდის პირობით	107,000 188,000
2	მარაგის გაყიდვა 35%-იანი სავაჭრო დანამატით თვითღირებულებაზე, მ.შ. კრედიტით გაყიდვები შეადგენს 15%-ს	407,700
3	დებიტორული დავალიანების დასაფარავად მიღებულია თანხა	72,000
4	ჩამოწერილია უიმედო დებიტორული დავალიანება	1,355
5	M-თვის შეიქმნა კონკრეტული ანარიცხი საწარმოს სურს შეინარჩუნოს დებიტორული დავალიანების 5% საერთო ანარიცხი	3,500

მოგეთხოვებათ გაიანგარიშოთ:

- 1) მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შესატანი ხარჯების სიდიდე ყველა შესაბამისი გაანგარიშების წარდგენით;
- 2) ბალანსში ასახავი მარაგისა და დებიტორული დავალიანების თანხა.

(10 ქულა)

ამოცანა 3

შპს მზემ სამეურნეო საქმიანობა დაიწყო 2017 წლის 1 ივნისს 5,000 ლარი ნაღდი ფულით და 4,500 ლარის ღირებულების ავტომობილით.

ივნისში მან განახორციელა შემდეგი სამეურნეო ოპერაციები:

რიცხვი	სამეურნეო ოპერაცია	ლარი
1	იმავდროული გადახდით შეიძინა საქონელი	1,000
4	იმავდროული გადახდით გაყიდა საქონელი	1,200
5	გიორგის კრედიტით მიჰყიდა საქონელი	900
8	გაცა ხელფასი	100
9	ირაკლისგან კრედიტით იყიდა საქონელი	850
15	გიორგიმ მთლიანად დაფარა დებიტორული დავალიანება	
16	იმავდროული გადახდით შეიძინა საქონელი	700
17	იმავდროული გადახდით გაყიდა საქონელი	1,500
22	მთლიანად დაფარა ირაკლის ვალი	
24	თორნიკესგან აიღო სესხი	1,000
25	იმავდროული გადახდით იყიდა შენობა	2,000
26	განახორციელა ამოღება	100

მოგეთხოვებათ:

შეადგინოთ საბუღალტრო ანგარიშები ივნისის თვისთვის და მოამზადოთ ივნისის თვის საცდელი ბალანსი.

(10 ქულა)

ამოცანა 4

შპს ნეო წარმოადგენს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ კომპანიას. კომპანია ანგარიშგებას ამზადებს ყოველი წლის 31 მარტს. ანგარიშების ნაშთები საბოლოო კორექტირებამდე 2015 წლის 31 მარტს შემდეგია (ლარი):

საბალანსო მუხლები	დებიტი	კრედიტი
კაპიტალი		200,000
დაგროვილი მოგება 2014 წლის 1 აპრილს		61,000
სესხი		60,000
შენობა: თვითღირებულება წლის დასაწყისში	200,000	
დაგროვილი ცვეთა წლის დასაწყისში		76,000
მანქანა-დანადგარები: თვითღირებულება წლის დასაწყისში	80,000	
დაგროვილი ცვეთა წლის დასაწყისში		30,000
წლის განმავლობაში შეძენილი მანქანა-დანადგარები	10,000	
კრედიტორული დავალიანება და დარიცხული ხარჯი		170,000
მარაგი 2015 წლის 31 მარტს	160,000	
დებიტორული დავალიანება	100,000	
წინასწარი გადახდები	80,000	
საბანკო ნაშთი	90,000	
მოგება წლის განმავლობაში (კორექტირებამდე)		123,000
	720,000	720,000

დადგინდა, რომ:

1. სასესხო თამასუქების განაღდება უნდა მოხდეს ნომინალით, ოთხი თანაბარი წლიური გადახდით 2015 წლის 31 დეკემბრიდან.

2. წლიური ცვეთა გამოთვლილია შემდეგნაირად:

შენობა - 2% თვითღირებულების;

მანქანა-დანადგარები 20% წმინდა საბალანსო ღირებულების შემცირებული ნაშთი 2014 წლის 31 მარტს, პლუს წლის განმავლობაში შეძენილი მანქანა-დანადგარები.

3. მარაგი შეფასდა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

მოგეთხოვებათ:

ბალანსის შედგენა 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით.

(10 ქულა)

ამოცანა 5

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ამონარიდი კომპანია „იბერიას“ ბალანსიდან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ძირითადი საშუალებები	ლარი
მანქანა-დანადგარების თვითღირებულება	250,000
მანქანა-დანადგარების დაგროვილი ცვეთა	10,250
ოფისის აღჭურვილობა	35,000
ოფისის აღჭურვილობის დაგროვილი ცვეთა	5,500

2017 წლის განმავლობაში კომპანიის ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა შემდეგ სამეურნეო ოპერაციებს:

- 1) 1 აპრილს შეძენილ იქნა მანქანა-დანადგარები, რომელთა შესყიდვის ფასი იყო 20,200 ლარი, საბაჟო გადასახადი 2,424 ლარი, სატრანსპორტო ხარჯები 900 ლარი.
- 2) 1 ივლისს შეძენილ იქნა 10,000 ლარის ღირებულების კომპიუტერები, ხოლო 2 ოქტომბერს გაიყიდა 3 ცალი პრინტერი 900 ლარად. ამ პრინტერების თვითღირებულება შეადგენდა 600 ლარს, დაგროვილი ცვეთა გაყიდვის მომენტისთვის კი 200 ლარს;
- 3) მანქანა-დანადგარების ნარჩენი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოსთვის შეფასდა 5,200 ლარად;
- 4) კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით მანქანა-დანადგარებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, 20%-იანი განაკვეთით, ოფისის აღჭურვილობას - წრფივი მეთოდით, 15%-იანი განაკვეთით. გათვალისწინებულია ცვეთის დარიცხვა დროის პროპორციულად;

მოგეთხოვებათ:

განსაზღვროთ:

- 1) მანქანა-დანადგარებისა და ოფისის აღჭურვილობის:
 - ა) ცვეთის ხარჯი;
 - ბ) დაგროვილი ცვეთა;
 - გ) საბალანსო ღირებულება.
- 2) ოფისის აღჭურვილობის რეალიზაციიდან მიღებული ფინანსური შედეგი.

(10 ქულა)

ამოცანა 6

კომპანიის მოგება-ზარალის და კაპიტალის ანგარიშგება

კომპანიის საკუთარი კაპიტალი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ლარი):

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 1 იანვრისთვის	1,000,000	20,000	35,000	20,800	1,075,800

2017 წლის განმავლობაში კომპანიაში ადგილი ჰქონდა შემდეგ სამეურნეო ოპერაციებს:

1. წლის განმავლობაში გაიყიდა საქონელი: ნაღდი ანგარიშსწორებით 12,000 ლარად, კრედიტით 30,000 ლარად;
2. იჯარის კვარტალური გადასახადი შეადგენს 1,000 ლარს. წლის განმავლობაში გადახდილ იქნა იჯარის ქირა 6,000 ლარი;
3. მომუშავეების ხელფასია 4,350 ლარი, აქედან გადახდილია 3,000 ლარი;
4. თერთმეტი თვის ელექტროენერჯის ხარჯი გადახდილია 780 ლარის ოდენობით, ხოლო დეკემბრის თვის ხარჯი 90 ლარი გადასახდელია;
5. მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 4,917 ლარი;
6. გამოშვებულია 5 ლარის ნომინალური ღირებულების 70,000 ცალი აქცია, თითოეული 9 ლარად;
7. საემისიო კაპიტალის ხარჯზე განხორციელდა 20,000 ცალი აქციის ბონუსური ემისია;
8. გადაფასდა 20,000 ლარის თვითღირებულებისა და 5,700 ლარის დაგროვილი ცვეთის მქონე ძირითადი საშუალებები 25,000 ლარად;
9. გაცემულ იქნა 2,500 ლარის შუალედური დივიდენდები;
10. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ გამოცხადდა საბოლოო დივიდენდები - 40,000 ლარის ოდენობით.

მოგეთხოვებათ შეადგინოთ 2017 წლის:

1. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება;
2. კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.

(10 ქულა)

ამოცანა 7

**სს „კმს“-ის ამონარიდი საცდელი ბალანსიდან
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)**

საბალანსო მუხლები	ლარი
ძირითადი საშუალებების თვითღირებულება (01.01)	200,000
ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა (01.01)	105,000
მარაგი (01.01)	15,300
შესყიდვების უკან დაბრუნება	1,500
დებიტორული დავალიანება	90,000
დებიტორული დავალიანების ანარიცხები (01.01)	3,500
შრომის ანაზღაურების ხარჯები	3,300
მარაგის შესყიდვა	45,000
ელექტროენერჯის ხარჯი	3,200
იჯარის ხარჯი	2,000
ბანკის მომსახურების საკომისიო	300
მიღებული ავანსი	9,300
ფულადი სახსრები	102,700

დამატებითი ინფორმაცია:

1. მარაგის ნაშთი 31 დეკემბრისათვის შეადგენს 10,000 ლარს;
2. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით 20%-იანი განაკვეთით;
3. წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებს ჩაუტარდათ 35,000 ლარის მიმდინარე რემონტი;
4. გასულ აქტივებს ცვეთა ერიცხება სრულად;
5. 10,000 ლარად გაიყიდა მანქანა, რომლის საბალანსო ღირებულება 12,000 ლარია;
6. ჩამოსაწერია 5,000 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც მიჩნეულია უიმედოდ;
7. დებიტორული დავალიანების ანარიცხებმა უნდა შეადგინოს მოთხოვნების 5%;
8. დასარიცხია 200 ლარის ელექტროენერჯის ხარჯი;
9. გადახდილი იჯარის ქირა მოიცავს 500 ლარის წინასწარ გადახდას;

მოგეთხოვებათ:

წარმოადგინოთ ხარჯების ამონარიდი მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან და გამოთვალოთ შემდეგი ხარჯები:

1. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება;
2. ცვეთის ხარჯი;
3. ფინანსური შედეგი ა/მანქანის რეალიზაციიდან;
4. უიმედო დებიტორული დავალიანების ხარჯები;
5. უიმედო და დებიტორული დავალიანების ანარიცხის ხარჯები;
6. შრომის ანაზღაურების ხარჯები;
7. ელექტროენერჯის ხარჯი;
8. იჯარის ხარჯი
9. ბანკის მომსახურების საკომისიო.

(10 ქულა)

ამოცანა 8

სს „კმს“-ის ამონარიდი საცდელი ბალანსიდან
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

საბალანსო მუხლები	ლარი
ძირითადი საშუალებების თვითღირებულება (01.01)	200,000
ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა (01.01)	105,000
მარაგი (01.01)	15,300
დებიტორული დავალიანება	90,000
დებიტორული დავალიანების ანარიცხები (01.01)	3,500
შრომის ანაზღაურების ხარჯები	3,300
მარაგის შესყიდვა	45,000
შესყიდვების უკან დაბრუნება	1,500
ელექტროენერჯის ხარჯი	3,200
იჯარის ხარჯი	2,000
ბანკის მომსახურების საკომისიო	300
მიღებული ავანსი	9,300
ფულადი სახსრები	102,700

დამატებითი ინფორმაცია:

1. მარაგის ნაშთი 31 დეკემბრისათვის შეადგენს 10,000 ლარს;
2. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით 20%-იანი განაკვეთით;
3. ჩამოსაწერია 5,000 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც მიჩნეულია უიმედოდ;
4. დებიტორული დავალიანების ანარიცხებმა უნდა შეადგინოს მოთხოვნების 5%;
5. დასარიცხია 200 ლარის ელექტროენერჯის ხარჯი;
6. გადახდილი იჯარის ქირა მოიცავს 500 ლარის წინასწარ გადახდას.

მოგეთხოვებათ:

წარმოადგინოთ ამონარიდი ბალანსიდან აქტივებისა და ვალდებულებების სახით და გამოთვალოთ ბალანსის შემდეგი მუხლები:

1. დაგროვილი ცვეთა;
2. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება;
3. მარაგი;
4. დებიტორული დავალიანება;
5. დებიტორული დავალიანების ანარიცხები;
6. წმინდა დებიტორული დავალიანება;
7. წინასწარ გაწეული იჯარის ხარჯი;
8. გადასახდელი ელექტროენერჯის ღირებულება;
9. წინასწარ მიღებული ავანსი.

(10 ქულა)

ამოცანა 9

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ბალანსი (ლარი)

საბალანსო მუხლები	საწყისი ნაშთი	საბოლოო ნაშთი
ძირითადი საშუალებები	200,800	205,200
დაგროვილი ცვეთა	(45,000)	(46,200)
მარაგი	10,000	7,000
დებიტორული დავალიანება	7,000	8,000
ფულადი სახრები	41,000	60,000
	213,800	234,000
სააქცო კაპიტალი	110,000	125,000
გაუნაწილებელი მოგება	83,600	93,600
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	15,000	12,000
გადასახდელი მოგების გადასახადი	1,200	900
გადასახდელი პროცენტი	4,000	2,500
	213,800	234,000

დამატებითი ინფორმაცია:

1. დარიცხული საპროცენტო ხარჯი 500 ლარია;
2. დარიცხული მოგების გადასახადის ხარჯი 2,800 ლარია.
3. მოცემულ წელს დივიდენდები არ გაცემულა და გრძელვადიანი აქტივები არ გაყიდულა.

მოგეთხოვებათ:

მომზადოთ ფულადი ნაკადების ანგარიშგება არაპირდაპირი მეთოდით.

(10 ქულა)

ამოცანა 10

მოგება-ზარალის ანგარიშგება

საწარმოს 2018 წლის სექტემბრის მაჩვენებლები (ლარი):

მაჩვენებლები	2018 წელი	
	01.09	30.09
გაყიდვები		102,300
მარაგის შესყიდვა		55,000
მარაგის თვითღირებულება	12,300	15,200
მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება		13,200
დებიტორული დავალიანების ანარიცხები	5,700	4,700
უიმედო დებიტორული დავალიანების ხარჯი		2,300
ტექნიკის საბალანსო ღირებულება (ტექნიკის შეძენა-გაყიდვას არ ჰქონია ადგილი)	48,300	47,300
იჯარის ხარჯი (გადახდილია 700 ლარი)		1,200
სექტემბრის საპროცენტო ხარჯი (გადახდილია 1,700 ლარი)		1,500

მოგეთხოვებათ:

მოამზადოთ 2018 წლის სექტემბრის მოგება-ზარალის ანგარიშგება.

(10 ქულა)

ამოცანა 11

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

კომპანიის საკუთარი კაპიტალი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

მაჩვენებლები	ლარი
საქციო კაპიტალი (ნომინალური ღირებულება 1 ლარი)	2,000
საემისიო კაპიტალი	9,000
გაუნაწილებელი მოგება	55,000
შენიშვნის გადაფასების რეზერვი	<u>14,500</u>
	80,500

2018 წელს განხორციელებული ოპერაციები (ლარი)

1	დასაბეგრი მოგება	25,300
2	მოგების გადასახადი	2,300
3	დივიდენდები: გადახდილი	1,200
	დარიცხული	500
4	შენიშვნის ჩამოფასება	700
5	მოწყობილობების აფასება	200
6	ყოველ 4 აქციაზე გამოშვებულია ერთი აქცია, ერთი აქცია გაიყიდა 15 ლარად	
7	100 ცალი აქციის ბონუსური ემისია	

მოგეთხოვებათ:

მომზადდეთ კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(10 ქულა)

ამოცანა 12

მოცემულია ინფორმაცია ოქტომბრის თვის დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების შესახებ:

დებიტორული დავალიანების მაკონტროლებელი ანგარიში:

	ლარი
საწყისი ნაშთი 1 ოქტომბრისათვის	230,000
გაყიდვებიდან ამონაგები	170,000
მყიდველებისაგან მიღებული თანხა	195,000
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	1,200

კრედიტორული დავალიანების მაკონტროლებელი ანგარიში:

საწყისი ნაშთი 1 ოქტომბრისათვის	190,000
შესყიდვები	85,000
მომწოდებლებისათვის გადახდილი თანხა	125,000
მიღებული ფასდათმობა	1,300

დამატებითი ინფორმაცია:

- ჩამოწერილია უიმედო ვალი 2,700 ლარი (1 ქულა);
- გაყიდვების # 7 ანგარიშ- ფაქტურა თანხით 2,300 ლარი ასახული არ არის ანგარიშზე (1 ქ.);
- მომწოდებლის მიერ წარმოდგენილია საკრედიტო ავიზო 1,500 ლარის, რომელზედაც ჩანაწერი არ გაკეთებულა (1,5 ქ.);
- კონტრალური გატარება შეადგენს 8,50 ლარს, რაზედაც ბუღალტრული გატარება არ გაკეთებულა (1 ქ.);
- შესყიდვების 1,750 ლარის ანგარიშ- ფაქტურა ანგარიშზე აისახა, როგორც 1,570 ლარი (1 ქ.);
- მყიდველებზე გაცემული ფასდათმობა 3,500 ლარი არ ასახულა ანგარიშზე (1 ქ.);
- მომწოდებლისაგან დაბრუნებული თანხა 1,950 ლარი ასახული არაა ანგარიშზე (1,5 ქ.).

მოგეთხოვებათ:

მოამზადეთ ოქტომბრის თვის დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მაკონტროლებელი ანგარიშები და გამოიყვანეთ საბოლოო ნაშთები (2 ქულა)

(10 ქულა).

ამოცანა 13

მოცემულია საწარმოს საცდელი ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარებში):

	დებიტი	კრედიტი
ფული ბანკში	120	
დებიტორული დავალიანება	160	
შენობა: თვითღირებულება	280	
დაგროვილი ცვეთა (2017წ. 31.12.)		70
მანქანა- დანადგარები:თვითღირებულება	350	
დაგროვილი ცვეთა (2017წ. 31.12.)		90
სააქციო კაპიტალი (200,000 ცალი აქცია, ნომინალური ღირებულება 2 ლარი)		400
საემისიო კაპიტალი		100
დაგროვილი მოგება		145
კრედიტორული დავალიანება		45
ბანკის გრძელვადიანი სესხი		60
	910	910

დეკემბრის თვეში აღურიცხავი ოპერაციები:

- 30 დეკემბერს საწარმოს გაფართოების მიზნით დამატებით გამოშვებულია ყოველ ფლობილ 10 აქციაზე ერთი აქცია, თითოეული 3,50 ლარად (1 ქულა);
- 31 დეკემბერს საემისიო კაპიტალის ხარჯზე გამოშვებულია ერთი ბონუსური აქცია ყოველ არსებულ 8 აქციაზე (1 ქულა);
- ცვეთის დარიცხვა განხორციელდა წრფივი მეთოდით:
შენობებზე - 5%; (1,5 ქულა)
მანქანა - დანადგარებზე - 20% (1,5 ქულა).
- წინასწარ გადახდილია იჯარის ქირა 15,000 ლარი (1,5 ქულა);
- საექვო ვალების ანარიცხი დებიტორული დავალიანების 5%-ს შეადგენს (1,5ქულა);
- ავანსად მიღებულია სამუშაოს შესასრულებლად 25,000 ლარი (1 ქულა);
- ფულადი სახსრების სიდიდე 31 დეკემბრის მდგომარეობით უცნობია (1 ქულა).

მოგეთხოვებათ:

- საქურნალო გატარებებით ასახოთ აღურიცხავი ოპერაციები;
- განსაზღვროთ ფულადი სახსრების ნაშთი 2018 წ. 31 დეკემბრისათვის.
(10 ქულა).

ამოცანა 14

ქვემოთ მოცემულია საწარმო P-ს 20X1 წლის 31 მარტის საცდელი ბალანსი:

	დებიტი \$000	კრედიტი \$000
მოგება (20X1 წლის)		2,310
საწყისი კაპიტალი		5,500
წინასწარგადახდები	250	
ამოღება	390	
ძირითადი საშაულებები	4,250	
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,400	
ფულადი სახსრები	2,500	
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება		526
გრძელვადიანი სესხები (გადასახდელი 20X9)		1,200
დარიცხული ხარჯი		854
	<u>10,390</u>	<u>10,390</u>

დამატებითი ინფორმაცია

- 1) ძირითად საშაულებებს ცვეთა ერიცხება 20% ნაშთის შემცირების მეთოდით;
- 2) საჭიროა შეიქმნას დებიტორული დავალიანების ანარიცხი 2%-ოდენობით;
- 3) მარაგის საბოლოო ნაშთია 1,600.

მოგეთხოვებათ:

მოამზადეთ 20X1 წლის 31 მარტს დამთავრებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

(სულ 10 ქულა).

ამოცანა 15

1. გრძელვადიანი აქტივების გადაფასება

კომპანია ატარებს თავისი მიწისა და შენობების გადაფასებას და გადაწყვიტა გადაფასების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.

ამონარიდი 20X7 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან

	\$000
მიწა:	
თვითღირებულება	5,000
შენობები:	
თვითღირებულება	1,200
ცვეთა	(144)
	<u>1,056</u>

20X8 წლის 1 იანვარს მიწა გადააფასეს \$6,000,000-ად. მისი სასარგებლო მომსახურების ვადა ამ თარიღისათვის არის 40 წელი.

20X8 წლის 1 იანვარს შენობა გადააფასეს \$1,400,000-ად. მისი სასარგებლო მომსახურების ვადა ამ თარიღისათვის არის 40 წელი.

მოგეთხოვებათ:

წარმოადგინოთ შესაბამისი ამონარიდი 20X8 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგებიდან.

(სულ 10 ქულა).

ამოცანა 16

ამონარიდი საცდელი ბალანსიდან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მუხლების დასახელება	ლარი
მანქანა-დანადგარების თვითღირებულება	25.000
მანქანა-დანადგარების დაგროვილი ცვეთა	8.720
სატრანსპორტო საშუალებების თვითღირებულება	4.020
სატრანსპორტო საშუალებების დაგროვილი ცვეთა	1.034
გაყიდვებიდან ამონაგები	39.500
გაყიდული საქონლის დაბრუნება	3.100
შესყიდვები	28.200
შესყიდული საქონლის დაბრუნება	1.300
მარაგი 2017 წლის 1 იანვარს	15.200
დებიტორული დავალიანება	10.380
დებიტორული დავალიანების ანარიცხი (2016 წ. 31 დეკემბერი)	980
ჩამოწერილი უიმედო ვალები	410
2017 წლის 3 ნოემბერს გადახდილი 1 წლის იჯარის ხარჯი	1.200
ელექტროენერჯის ხარჯი	280
ხელფასის ხარჯი	3.200
ფულადი სახსრები	7.970
მიღებული ფასდათმობა	700
კრედიტორული დავალიანება	21.300

შენიშვნა:

1. მარაგის ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით 8.500 ლარად შეფასდა;
2. სააღრიცხვო პოლიტიკით ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხებათ შემცირებადი ნაშთის მეთოდით 20% -იანი განაკვეთით;
3. უიმედოდ ჩაითვალა 1.000 ლარის დებიტორული დავალიანება;
4. საწარმოს მიაჩნია, რომ საეჭვოა დებიტორული დავალიანების 5%-ის დაფარვა და შესაქმნელია ამ ოდენობის დებიტორული დავალიანების ანარიცხი;
5. დასარიცხია კომუნალური ხარჯები 180 ლარის ოდენობით.

მოგეთხოვებათ:

მოამზადოთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.

(სულ 10 ქულა).

ამოცანა 17

ამონარიდი შპს “აისის” საცდელი ბალანსიდან 2017 წლის 31 დეკემბრისათვის.

დებიტორული დავალიანება	28.900
დებიტორული დავალიანების ანარიცხი	1.200
უიმედო ვალების ხარჯი	950
მარაგები	12.500
მანქანა-დანადგარების თვითღირებულება	35.200
მანქანა-დანადგარების დაგროვილი ცვეთა	12.300

31 დეკემბერს ცნობილი გახდა, რომ:

1. დებიტორი შპს “ეგრისი”, რომელსაც 3.700 ლარის დავალიანება ჰქონდა, გაკოტრდა და გადახდისუუნაროდ ჩაითვალა;
2. საექვო გახდა შპს „კონტრასტის“ მიერ 4.200 ლარის დებიტორული დავალიანების დაფარვა;
3. შპს ”აისის“ მოსაზრებით საექვოა დანარჩენი დებიტორული დავალიანებების 5%-ის დაფარვა;
4. მარაგის ნაშთის თვითღირებულებამ 26.500 ლარი, ხოლო ნეტო-სარეალიზაციო ღირებულებამ 25.420 ლარი შეადგინა;
5. სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, მანქანა-დანადგარების ცვეთის გასაანგარიშებლად საწარმო იყენებს შემცირებადი ნაშთის მეთოდს, 10 %-იანი განაკვეთით.

მოგეთხოვებათ:

1. გამოიანგარიშოთ ბალანსში ასახვის მიზნით მარაგების, დებიტორული დავალიანებების, მანქანა-დანადგარების ოდენობა;
2. გამოიანგარიშოთ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახავი მაჩვენებლები.

(სულ 10 ქულა).